საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07-01/62

ქ. ბათუმი **30 დეკემბერი, 2021 წელი**

ბსუ-ს სტრუქტურაში ცვლილების შეტანისა და მთავარი შიდა აუდიტორის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს შრომის კოდექსის 47-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–10 მუხლის, წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 23 ივლისის N07-01/37 გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის და ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. შევიდეს ცვლილება ბსუ-ს სტრუქტურაში, 2022 წლის 10 თებერვლიდან გაუქმდეს დამხმარე სტრუქტურული ერთეული - ბსუ-ს შიდა აუდიტის სამსახური და ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ,,ბსუ-ს შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 9 ივლისის N07-01/17 გადაწყვეტილება.
2. დამტკიცდეს ბსუ-ს მთავარი შიდა აუდიტორის სამსახურში მიღების წესი (დანართი 1) და ამოქმედდეს 2022 წლის 15 აპრილიდან.
3. წინამდებარე გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ბსუ-ს რექტორმა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გამოსცეს შესაბამისი სამართლებრივი აქტები.
4. გადაწყვეტილება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ბსუ-ს შიდა აუდიტის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
6. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დავით ბარათაშვილი**

,,ბსუ-ს სტრუქტურაში ცვლილების შეტანისა და მთავარი შიდა აუდიტორის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“

წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 30 დეკემბრის N07-01/62 გადაწყვეტილების

დანართი N1

ბსუ-ს მთავარი შიდა აუდიტორის სამსახურში მიღების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში - ,,ბსუ“ ან ,,უნივერსიტეტი“) მთავარი შიდა აუდიტორის სამსახურში მიღების წესი (შემდეგში - ,,წესი“) განსაზღვრავს მთავარი შიდა აუდიტორის საქმიანობის მიზანს, ამოცანებს, საქმიანობის მიმართულებებს, უფლება-მოვალეობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და სამსახურში მიღების წესს.

1.2. მთავარი შიდა აუდიტორის საქმიანობის ძირითადი მიზანია ობიექტური და რისკზე დაფუძნებული რწმუნების, კონსულტაციისა და პროფესიული გამოცდილების შედეგად მიღებული ცოდნისა და ხედვების გაზიარების გზით, უზრუნველყოს ბსუ-ს საქმიანობის გაუმჯობესებისკენ, მისი მიზნების მიღწევის და მისი ამოცანების სრულყოფილად შესრულებისკენ მიმართული დამოუკიდებელი, ობიექტური, მარწმუნებელი და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, რომელიც სისტემატიზებული, დისციპლინებული და ორგანიზებული მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას;

1.3. შიდა აუდიტის ამოცანაა უნივერსიტეტის საქმიანობის პროცესში საკანონმდებლო მოთხოვნებისა და დადგენილი სტანდარტების დაცვის, რესურსების პროდუქტიულად, ეფექტიანად და ეკონომიურად გამოყენების, ამოცანების შესრულებისა და უნივერსიტეტის დასახული მიზნების მიღწევის შეფასება, ეფექტიანობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების გაცემა და უნივერსიტეტის რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, აკადემიური საბჭოს და წარმომადგენლობითი საბჭოს ინფორმირება, უნივერსიტეტის სისტემაში რისკის მართვის, კონტროლისა და მართვის პროცესების ადეკვატურობის, ეკონომიურობის, ეფექტიანობის, მოქმედ სტანდარტებთან და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.

1.4. შიდა აუდიტის მიზანს არ წარმოადგენს სწავლების პროცესის და კვლევითი საქმიანობის შეფასება, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომების შესახებ ფაქტების მოკვლევა/შეფასება, ინსპექტირების განხორციელება;

1.5. შიდა აუდიტის სუბიექტი (მთავარი შიდა აუდიტორი) ანგარიშვალდებულია წარმომადგენლობითი საბჭოს, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე, წინამდებარე ინსტრუქციით განსაზღვრული კომპეტენციების ფარგლებში.

1.6. მთავარი შიდა აუდიტორი მოქმედებს „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების , ამ წესის და სხვა მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე და საქმიანობას წარმართავს დამოუკიდებლობის, კეთილსინდისიერების, ობიექტურობის, პროფესიონალიზმის, კანონიერების, გამჭვირვალობის, საჯაროობის და სამართლიანობის პრინციპებით.

მუხლი 2. მთავარი შიდა აუდიტორის საქმიანობის მიმართულებები, უფლებები და ვალდებულებები

2.1. მთავარი შიდა აუდიტორი დასახული ამოცანების შესასრულებლად საქმიანობას ახორციელებს შემდეგი მიმართულებებით:

ა) უნივერსიტეტის წინაშე არსებული რისკების მართვის ხარისხის შეფასება;

ბ) ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება (შემდეგში - ,,სისტემური აუდიტი“);

გ) დაწესებულების საქმიანობის მისიასთან, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებთან, პროცედურებთან, კანონებსა და სხვა მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობის შემოწმება და შეფასება (შემდეგში - ,,შესაბამისობის აუდიტი“);

დ) შიდა აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული ღონისძიებების, ოპერაციების, პროგრამების, უნივერსიტეტის ორგანიზაციული მოწყობისა და სისტემების ობიექტური და საიმედო შეფასება, მათი ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის პრინციპებთან შესაბამისობის დადგენისა და გაუმჯობესების პოტენციალის გამოვლენის მიზნით (შემდეგში - ,, ეფექტიანობის აუდიტი“);

ე) უნივერსიტეტის ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შემოწმება საქართველოს კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით (შემდეგში - ,,ფინანსური აუდიტი“);

ვ) უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების ადეკვატურობისა და სისტემის უსაფრთხოების დაცულობის შემოწმება და შეფასება სისტემის

კონფიდენციალურობის, მთლიანობის და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით (შემდეგში - ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი“);

ზ) განხორციელებული საქმიანობის შედეგად რეკომენდაციების გაცემა და გაცემული რეკომენდაციების და წინადადებების შესრულების მონიტორინგი;

თ) სხვა საქმიანობა, რომელიც გამომდინარეობს უნივერსიტეტის ინტერესებიდან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებსა და შიდა აუდიტორის დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის პრინციპებს.

2.2. მთავარი შიდა აუდიტორი უფლებამოსილია:

ა) უნივერსიტეტის სისტემაში რისკების შეფასებაზე დაფუძნებული შიდა აუდიტის სტრატეგიული და წლიური გეგმების საფუძველზე განახორციელოს შიდა აუდიტორული შემოწმება აუდიტის შემდეგი სახეების გამოყენებით: სისტემური აუდიტი; შესაბამისობის აუდიტი; ეფექტიანობის აუდიტი; ფინანსური აუდიტი და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი;

ბ) ძირითადი მიმართულებებით უნივერსიტეტის საქმიანობის განხორციელების მიზნით შეუზღუდავად, როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით, მოითხოვოს და მიიღოს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებიდან (დასაქმებულისგან) მისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია და დოკუმენტი და ხელი მიუწვდებოდეს მონაცემთა ბაზებზე, მიუხედავად მათი ფორმისა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ასევე მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია ან განმარტება როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით;

გ) შიდა აუდიტორული შემოწმების ჩატარების და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის მიზნით, ჰქონდეს შეუზღუდავი დაშვება უნივერსიტეტის ყველა ობიექტზე, ყველა საქმიანობასა და დოკუმენტაციასთან, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვების გარდა;

დ) აუდიტის ობიექტებისგან გამოითხოვოს გაცემული რეკომენდაციების დროული შესრულების შესახებ ინფორმაცია (უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების რისკის მფლობელები და კონტროლის ღონისძიებებზე პასუხისმგებელი ერთეულები);

ე) შიდა აუდიტის ობიექტს მოსთხოვოს დოკუმენტის სახელმწიფო ენაზე წარდგენა, გადაიღოს დოკუმენტის ასლები და სხვა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვებისა;

ვ) განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისი კონსულტაციებისათვის მოიწვიოს უნივერსიტეტში დასაქმებული პირები, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში,

დადგენილი წესის შესაბამისად, მოითხოვოს შესაბამისი სპეციალისტების მოწვევა, ექსპერტიზის ან/და სხვა სახის კვლევების ჩატარების დაკვეთა;

ზ) შიდა აუდიტის წლიური გეგმით განსაზღვრული კონკრეტული სამუშაოს (შიდა აუდიტორის ფუნქციების) შესრულების უზრუნველსაყოფად მოითხოვოს დამატებითი ადამიანური რესურსი (მოწვევა/დასაქმება);

თ) ბსუ-ს რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგინოს წინადადებები ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით.

2.3. ბსუ-ს მართვის ორგანოების, სტრუქტურული ერთეულები და თანამშრომლები ვალდებული არიან თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სათანადო დახმარება გაუწიონ შიდა აუდიტორს შიდა აუდიტორული შემოწმების განხორციელების პროცესში.

2.4. მთავარი შიდა აუდიტორი ვალდებულია:

ა) დაიცვას შიდა აუდიტის სტანდარტები, შიდა აუდიტის მეთოდოლოგია, შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის პროფესიული პრაქტიკის ჩარჩოს სავალდებულო ელემენტები, მათ შორის, შიდა აუდიტის პროფესიული პრაქტიკის ძირითადი პრინციპები, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსი, შიდა აუდიტის პროფესიული პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტები და შიდა აუდიტის მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტები;

ბ) შიდა აუდიტის ობიექტს წარუდგინოს აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალური გეგმა „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

გ) უზრუნველყოს შიდა აუდიტის ობიექტის პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. არ გაამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც ცნობილი გახდა თავისი საქმიანობის განხორციელებისას ან მასთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი გამომდინარეობს შიდა აუდიტორული შემოწმების მიზნიდან ან/და გათვალისწინებულია შესაბამისი კანონმდებლობით;

დ) უნივერსიტეტის რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანხმობის გარეშე არ გახადოს საჯარო, შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ე) რისკის ანალიზის საფუძველზე შეიმუშაოს შიდა აუდიტის **სტრატეგიული გეგმა და წლიური გეგმა და წარუდგინოს:**

ე.1) წარმომადგენლობით საბჭოს - სტრატეგიული გეგმა, რექტორთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებული;

ე.2) ადმინისტრაციის ხელმძღვანელს - შიდა აუდიტის წლიური გეგმა, რექტორთან შეთანხმებული.

ვ) თითოეული შიდა აუდიტორული შემოწმებისათვის შეიმუშაოს და დაამტკიცოს აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალურ გეგმა.

ზ) უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი წესით **შიდა აუდიტორული ანგარიშის** მომზადება და გაცნობა (წარდგენა) ბსუ-ს მართვის ორგანოებისა და ბსუ-ს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის (დასაქმებულისათვის);

თ) მოამზადოს შიდა აუდიტის წლიური ანგარიში და განსახილველად წარუდგინოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორს და წარმომადგენლობით საბჭოს;

ი) უზრუნველყოფს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის, ასევე უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურისა და ფუნქციების შეფასება;

კ) განახორციელოს მონიტორინგი შიდა აუდიტის ობიექტისთვის მიცემული რეკომენდაციების შესრულებაზე;

ლ) შეიმუშავოს და განახორციელოს შიდა აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამა;

მ) განახორციელოს შრომითი ხელშეკრულებით მოწვეული შიდა აუდიტორის საქმიანობის სამსახურებრივი კონტროლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ნ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციები.

მუხლი 3. მთავარი შიდა აუდიტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამსახურში მიღება

3.1. უნივერსიტეტის მთავარი შიდა აუდიტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატისათვის/კონკურსანტისათვის დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

3.1.1. ძირითადი მოთხოვნები (სავალდებულო):

ა) უმაღლესი აკადემიური განათლება - სამართლის, ბუღალტრული აღრიცხვის – აუდიტის, ფინანსების ან ეკონომიკის სფეროში/მიმართულებით;

ბ) აუდიტორის, შიდა აუდიტის ან/და შიდა კონტროლის მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 3 - წლიანი გამოცდილება;

გ) თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფლობა, მათ შორის, საოფისე პროგრამული უზრუნველყოფის (MS Office Word, Outlook, PowerPoint, Excel) მაღალ დონეზე ცოდნა;

3.1.2. დამატებითი მოთხოვნები:

ა) პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;

ბ) დროის ეფექტური მართვის უნარი;

გ) ანალიზისა და დეტალებზე ორიენტირების უნარი;

დ) გუნდური მუშაობის უნარი.

3.1.3. სასურველი მოთხოვნები:

ა) განათლების სფეროში (საჯარო სამსახურში ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირში) შიდა აუდიტორად მუშაობის გამოცდილება;

ბ) თემატური ტრენინგები შიდა აუდიტის საკითხებზე;

გ) ინგლისური ენის ცოდნა;

დ) საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების დამადასტურებელი სერტიფიკატი.

3.2. მთავარი შიდა აუდიტორის წარდგინებით, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით განისაზღვრება შიდა აუდიტორის (დამატებით დასაქმებული/მოწვეული შრომით ხელშეკრულებით) საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

3.3. მთავარი შიდა აუდიტორის თანამდებობაზე დასაქმება (სამსახურში მიღება) ხორციელდება ღია კონკურსის შედეგად. კონკურსის გამოცხადებასთან, ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ბსუ-ს ,,დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესით“, წინამდებარე წესით გათვალისწინებული თავისებურებების (მოთხოვნების) გათვალისწინებით ან/და წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.